


მშვენიერი პატრონები

იუმორისტ.
ჟურნალი

№ 30



— თქვენ დაბოლოს სამი უფროსი გყავთ: შოლტი, მთრახი და მე. პედაგოგიკა აქ რა შუაშია!

სანიმუშო სიტყვა

შეღვნილი ეშმაკის მიერ საზოგადოთ ყოველგვარ ქართულ კრებისათვის, ხოლო კერძოთ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კრებისათვის.

ბატონებო! 1)

როგორც ხედავთ, ჩვენმა თავმჯდომარემ ჩვენს წინაშე წამოაყენა ფრიად საინტერესო და მძიმე საკითხი ქართულ წიგნებში კორექტურის გასწობის შესახებ 2).

კორექტურა³⁾ არ არის ისეთი უბრალო რამ, როგორც ეს პირველი შეხედვით მოგეჩვენებათ, არამედ არას უფრო ძნელი და მძიმე. მოვიყვან მხოლოდ ერთ ცოცხალ მაგალითს, რომ უბრალო ლაპარაკითა და ზედმეტი სიტყვებით თავი არ შეგაწყინოთ. ბ-ნმა შ. ქარუმიძემ მოგახსენაო სიტყვა „მდგმოიარობა“ 4) რას ნიშნავს, ბატონებო,

1) ზრდილობისათვის შეიძლება მივმართო სიტყვა: „და ქალბატონებო“-ც.

2) ლაპარაკის დროს შეიძლება ზურგი გამგებობას შეაქციო და პირი საზოგადოებას, როგორც ეს ბ-ნმა ილია ნაკაშიძემ იცის, ან და უკუღმა, როგორც სხვა ორატორები შევბიან. შეიძლება განის მიმართულებაც მიიღოთ, როგორც ბ-ნი შალვა ჭარუმიძე სჩადის ხოლმე. ამასთანავე ლაპარაკის დროს შეგიძლიათ ერთ ალაგას იღვეთ, როგორც საზოგადოთ მიღებულია, ან ისჯინათ წინ და უკან, როგორც ბ-ნი ილია ნაკაშიძე შეგბა. ამას სიტყვის ღირსება-ნაკლებოვანობაზე მაინც და მაინც დიდი გავლენა არა აქვს.

3) თითონაც ჩინებულად ედგათ, რომ ღერძი სანიმუშო სიტყვისა არის კორექტურა, ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ამ სიტყვიდან უკვე დაიწყეთ ნელ-ნელი აღდეგება-შეგინწინავე, რომ სიტყვის ღირსება, რამდენადაც ჩემი გამოცდილება მიკარნახებს უარესად დამოკიდებულია დროთა და მიზან შეწონილად აღლევებაზე. მართალია თავის თავად კორექტურა არაფერ არაღლევებულ ელემენტს არ შეიცავს, მაგრამ აღლევება მაინც სჭირია.

4) აქ ბ-ნი თავმჯდომარე, თუ კერძო ბაზში არაა გართული, უთუოდ ზარს დაარაწყუნებს, ვინაიდან ჩვენ შევედით კერძო პიროვნებას და ისიც აღლევებულის ტრანით თვეწ შეგიძლიათ არაერთი პურადლება არ მიაქციოთ ამ გაფრთხილებას, ვინაიდან თუ შევდავეთ, საგანი ლაპარაკისა უთუოდ დაგავიწყდება და სხვაზე გადახვალთ.

4) უმოზროსად ვთხოვთ ერთმანეთში არ აუტრიოთ არი ერთი მეორის საწ ნაღმდევო შეეცნება, სახელდობრ: აღლევება და ხმის ამალღება. ეს უკანასკნელი შეიძლება თვით საზოგადოებამ მოითხოვოს, (როგორც მაგალითად ბ-ნი გ. ცინცაძის მიხსენების დროს) ხოლო აღლევებას საზოგადოება არასოდეს არ მოითხოვს.

სიტყვა „მდგმოიარობა“ 6) ცხადია არაფერსა ბ-ქარუმიძეს რომ ენებებია და კორექტურა გაესწორებია აღნიშნული სიტყვისა, ჩვენ მივიღებდით ნამდვილ სიტყვას— „მდგმარობას“ 7).

ვინ არ იცის, ბატონებო, თუ რამდენათ აუცილებელია ჩვენთვის მდაბიო ენაზე დაწერილ წიგნები და ჟურნალ გაზეთები! ამიტომ მე მოვიტ ხრვ და ჩემთან ერთად დაწმუნებული ვარ ყველ აქ დამსწრეც მოითხოვს, რომ კორექტურა სავ მომცემლო სექციის საქე იყოს და არა სასკოლო ანუ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადო ბისა.

ბატონებო! 8) თვით მდებარეობა ჩვენი საზოგადოებისა გეოგრაფიულია და ის გვიკარნახებ ნათლად, რომ ჩვენს ხალხს უყვარს წიგნის კითხვა და საზოგადოთ გონებრიული ვარჯიშობა, მაგრამ თუ ჩვენ წიგნის მაგურათ მას კორექტურას გვეგზავნით, ნურას უკაცრავათ ზურგი შემოგავს ციოს და განზე გავვიდგეს, როგორც ამას მოიხოვს ბუნებრივი ინსტიქტი. ჩვენ კი ამ დროს რ ვშვებთ? როცა საქმეა საჭირო, მაშინ უბრალო ლაპარაკსა და ლამაზი სიტყვების ხარჯვას ვანდებებთ დროს, ხოლო იქ ჩვენი მოძმენი უკუნს სიბნელეში არიან ჩაცვიწულნი.

ბატონებო! იწამეთ ღმერთი, მიაქციეთ მთარი ყურადღება აღნიშნულ საკითხს, რომელიც მადროთ დაკავშირებულია საგნის ასე თუ ისე გარქასთან. ვინ იქნება ისეთი უფიცო, რომ მას ეხელმწიფებოდეს ამ კანონიერი მოთხოვნილ

6) მღლევარებასთან ერთად საჭიროა ხმასაც უმატებ

7) შეიძლება ხალხიდან ვინმემ წამოიძახოს ვგ სიტხვანაირადაც, მაგრამ თქვენ ამას უმეტეს აღლევებითა ხმის ამაღლებით უნდა გასცეთ პასუხი და არა ფაქტ განმარტებით.

8) თუ აქამომღე მოითინეთ, ახლა აუცილებლ აღლევებასა და ხმის ამაღლებას დაერთოს ვგრედ წოდებეს ზიკუღლიაცა. მარჯვენა ხელი ჯერ გულზე უნდა მიიღ შემღე განზე გასტორცნოთ!) და მასთან ერთად შეთბით შეანძროთ თავიც, დაახლოვებით ისე, როგორც წი ბანაობისას ბატმა და იხემა იცის, ან როგორც კბ-ნი ს. კვილა შეგბა ხოლმე.


9) ხელის გაქნევის დროს საჭიროა მცირედი სიწლე, რომ გაქნული ხელი თავში არავის მოხვდეს, მკრებას ისეთი პირივით ეწწებთან, რომელთათვის საზოგადოებასაქმეს დიდი ღვაწი არა აქვს და ასეთი თავში ჩაფარება ლება შეურაცხყოფათაც მიიღოს.

შეგნება და ღირსეულად მისი გადაჭრის მიღება¹⁰⁾. ვინ, თუ არ ჩვენ, უნდა მიაქციოს ყურადღება იმ აუტანელ ეკონომიურსა და ზნეობრივ-კულტურულ პირობებს, რომელშიაც დღეს ქართველობის უმეტესი ნაწილი იმყოფება? დიას, აქ დაყოვნება აღარ შეიძლება და საჭიროა თითოეული პიროვნება თავის პოზიციაზე იდგეს. ვინ იცის როლისა და რით გათავდება ეს უმაგალითო ომი, ეს უჩვეულო და სულის სიღრმეში შემადრწუნებელი სისხლის ღვრა; ვინ იცის როდის მოეღება ბოლო ამ შეხლავაშემოხლისაგან გამოწვეულ არე-დარევის, ვინ არის თავდები, რომ ხვალ ჩვენი ქვეყანა არ გაეხვევა აბოზოქრებულ ზღვის ცეცხლის ალებში და ჩვენს მთებზედაც არ გასკდება მეხის გრივალი 42 არშინიან ზარბაზნებისა? ¹²⁾ ვინ მომცემს ბატო-

ნებო ამის იმედს, რომ ყოველივე, ის რაც დღეს აქ წარმოითქვა აღარ განმეორდება? ჩვენ ისეთი დაუდევრები ვართ, იმდენი ლაპარაკი და კინკლაობა გვიყვარს რომ უბრალო საგანზედაც მთელი თვეობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თორემ ისეთ დიდსა და მძიმე საკითხზე, როგორიც არის კორექტურა, ჩვენი მთელი წლითაც ვილაპარაკებთ.

წელანაც მოგახსენეთ და ახლაც ვიტყვი, რომ კორექტურა არ არის ისეთი უბრალო რამ, როგორც¹⁴⁾...

ეშმაკი.



* * *

ვინ იცის, მყობადი ხელო ვის რას მოუტანს; ჩვენს წარმატებას-კი, სამზღვარი არ უჩანს.

აი, ამ წინაზე გაზეთი ენახე და ჩემს გულში მაშინვე აღდგომა გათენდა! იქ სწევრდენ: — გერმანეთს საქმე აქვს ცუდათო... ფაფუხრობს, ვითომდა ცა უჩანს ქუდათო, თორემ, რაც იქ ხდება ენათ არ ითქმისო; მდიდარი ქვეყანა გაკოტრდეს თითქმისო.

მოისპო...
ქურდობა,
ძარცვა
და ლეკთა...
სა-ტუ-სა-ლო-ეობი
სულ დაიკეტაო...

10) აქ საჭიროა ხალხს გადაავლოთ თვალი და, თუ მოწყენილობას შეატყობთ, აუცილებლათ უმატოთ სამივე ელემენტს: მღვღვარებას, ხმის და ჟესტიკულიაციას¹¹⁾.

12) ეს ის ადგილია, სადაც აღელვებამაც და ხმის ამაღლებამაც უმწვევრავლეს განვითარებას უნდა მიდწიოს. ცუდად თუ ბევრად ეს ეხერხება ბან დ. ხარტიშვილსა და შ. ქარუმიძესაც. აქედან მღვღვარება აღგება დაცხრომის ნანას¹³⁾ და ხმაც დაბლა ეშვება.

11) ზოგიერთმა სულწასულმა და მოუთმენელმა, უღის-ცობლინო დამსწრემ შეიძლება წამოიძახოს: — კმარა, ბატონო, წუ გეტანჯავთო, მაგრამ თქვენ ეს შენიშვნა ვითომც არ ეცვიანიათ. თავი ისე უნდა გვექროთ, როგორც ქვეყნად ამოხსულ ღმერთს და დამსწრეთა გროვა თქვენთვის უბრალო გვიკვებს წარმოადგენდეს. ეს იმიტომ, რომ თუ თქვენმა მღვღვარებამ დაპკარვა ხელოვნური ხასიათი და ბუნებრივზე გადავიდა, მაშინ მოსალოდნელია ისე დაგებასთ ენა, როგორც ეს ბან გ. იმნაიგიშვილს მოუვიდა, როცა სასკოლო სექციის სექციელი ფულის საკითხს დაუახლოვეს. ერთი სიტყვით ღმერთმა დაგვიფაროსთ არა თუ მართა ბუნებრივი მღვღვარებისაგან, არამედ ყველაფერი ბუნებრივისაგან.

13) უნდა მოგახსენეთ, რომ არის სხვაგვარი ხელოვნებაც. მაგალითად ზოგიერთი ორატორი მღვღვარებასა და მის აღმატებას თანდათანობით ანვითარებს, ვიდრე სიტყვის სასარულამდე.

ჩემის საკუთარის აზრით ეს არ არის მიზანშეწონილი ერთეული საზოგადოთ იმდენს ლაპარაკობს, რამდენსაც იმავე განზე ილაპარაკებდა ჩვეულებრივი კაცი. ამიტომ თუ ქარველმა ორატორმა თავიდანვე შეაყვალა ხმის აწევა დმ მოიხრევა ბოლომდე განგრძობა, შეიძლება დიდი მარცხი შეემთქვეს: შეიძლება მას ხმა აღარ ეყოს თვით გვაში ადამიანისასკდეს, რის მაგალითი არა ერთი და ორი ყოფილა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

14) აქედან ჩვეულებრივად იწყება, არა თუ სხვის ნათქვამის, არამედ თავისი საკუთარი თქმულების განმეორება. შემდეგ განმეორება და ასე ბოლომდე, ვიდრე ვინმე მადლიანი მოთმინებიდან არ გამოვა და....

— ჩვენ კი სხვა
ხალხნი ვართ!!
სხვაგვარი ჯიშოო...
ჩვენ გაკოტრებისა
არა გვაქვს შიშოო...
ვიციტ ძარცვა-გლეჯა,
კაცთა მკვლელობაო...
ქრთამის, ზედმიწევნით
ვიციტ ხელობაო.
სატუსაღოს დღეში
თითოს ვაშენებთო,
საყვარელ სამშობლოს
მითი ვამშვენებთო,
ააშენეს... ხელავ
უკვე სავსეაო!
ჩვენი წიმივლელობის
საქმე ასეაო.
ვხედავ,
გული სტკბება,
სულიც იხარისო
მე მაცოცხლებს ბედი
სამშობლო მხარისო.

კოლო.



მესტვირულ-გადაკრული

(დიდინა სოხუმელისა)

ტომარა მოკიდებული
თბილისში მოვეშურები:
მომაქვს სოხუმის ამბების
ცხელ-ცხელი ხაჭაპურები.
დაზოგვით უნდა ვაჭამო
და დრო გაშვებით მკითხველებს,
თორემ ვინც ერთად ბევრს შესჭამს,
ის სიმწრით ამოიხველებს.
მაშ ასე, მინდა ტომარში
აწ ფრთხილად ჩავყო ხელია,
რომ ხაჭაპური მოვიგდო,
რომელიც უფრო ცხელია.

ქალაქის თვითმართველობის
ჯერ ამოვზიდოთ ნახუქი,
მისგან ხომ ბევრი გვინახავს
ჩვენ ნაპურები, ნასუქი;
გაცლაც რომ ენანებოდა
და ზედ რჩებოდა კბილები,
მისთვის უცემდა ყელ-კუქი,
მისგანვე ჩანატვილები.

ცხოვრების წესი ესაა
და ჩვენც რა გვეთქმის ამაზე,
ათას რა ნერწყვი სდიოდეს
ორიოდ პირის ჭამაზე.

მხოლოდ რა სჭამენ და პირებს
აცმატუნ-აწკლაპუნებენ,
ამ დროს იქ ერთი მეორეს
თავში ნუ უტყაპუნებენ.

თორემ ქუჩაზედც გადმოვა
ეგ სამარცხვინო წესები
და მაშინ მე—გლახ-მესტვირეც
მიხილოთ ანაკენებსები..

აგერ ქალაქის აფთიაქს
რომ აპბრაწვია ფერდები,
უპ, ეს რა ცხელი პურიო!
და მეც ამაზე ვრჩერდები..

სწევნ ამ მსუქან ხაჭაპურს
ჩხიკენი, ყვანნი და კაქაკენი,
ბევრგან გულ გამოლადრულსა
კიდევ აქვს ჩამონახხენი.

ბრქყალნი რომ გაპკრეს, გამოპკრეს
და არ დაინდეს ბეჩავი,
არ დარჩენილა არ ვისგან
გაუწევ-გაუჩეჩავი.

ალბათ, რომ გემრიელია
ეს ცხელი ხაჭაპურიცა,
ამან დაჰბადა ამ ხალხში
მტრობაც, ქიშპიც და შურიცა.

საჩხუბრათ წაკაპიწებულთ
ჩაუცვამთ ჯავშან-კაბები.
ჰხამს, რომ მათ დავაყლაპინოთ
სპერმაკუდინის აბები!.

აქ ხურდა ფულის ხმიადმაც
დაჰბადა აურ-ზაური:
წამლად რა დავტირებოდათ,
არსად არ სჩანდა შაური.

ამ დროს კი ზოგ-ზოგ ვაქრუკას
 გადაემალა ფულეები:
 აბაზი, სამშაურები
 და გერცხლის უზალთუნებნი.
 და ერთ დღეს... ჰოი, განგებავ!
 შეიქნა ჩხრეკა, წრიალი,
 გამამალულმა ვერცხლებმა
 კვალად დაიწყეს ჩხრიალი.
 წარეკეს პოლიციაში,
 ვით დამნაშავე, თულები.
 პირს კატა ეცათ ვაქრუკებს;
 დარჩენ გულ დათუთქულები:
 ჩასწვთ ყელ-გული ხშიადმა,
 ვერ მოინელეს კარგათა;
 ეხლა თავიანთ დანაკლისს
 ჩვენზედ აწერენ ხარკათა...

აწ დასასრული მოითხოვს
 თქვენგან დაგდებს ყურისა:
 ჩვენი გვინახავს ტკილ გემო
 ბალ-აღურ ხაჭაბუთისა.
 მაგრამ დაესწყევლე ის წუთი,
 როს იქ ვიხილე ჭამანი:
 ეკეთენ მგლურის მადითა
 სხვა და სხვა ჯურის მამანი,
 მიჰქონდათ იერიშები
 კოვზებით, დანა-ჩანგლებით,
 თითქოს სამკალ პურს მუშები
 მისევიანო ნამგლებით.
 არ ვიცი, მათ რა მოსწონდათ:
 შინაარსი, თუ მიზანი?
 ერთიც თუ ღირდეს კიტრათჲ,
 ჰკითხველო გამორცანი,
 აქციეს სუფრა გაშლილი
 სძოლოა გადახდილ ველათა...
 აქ, სადაც შორს თუ სისხლს ღვრიან,
 ზენ ხომ ვართ უზრუნველათა...
 თან რომ შეხურდენ, პირთავან
 წამოაქუხეს რეჩები,
 ამენით და მეტის სიცილით
 კინალამ დასქდენ ფეჩები...
 მეც ვიყავ... ისე... არც ვიყავ:
 აუო, პირს არა ილა რა
 კამეჩი მყავდა ყოყინა
 აძოვდა და არა იყო რა.

ონისიმე.

თოკის ნაჭერი.

უპირველეს ყოვლისა უადრესი მადლობა მო-
 მიხსენებია ს. აბაშელისათვის, რომელმაც პირადათ
 გამაცნო ჩვენი ცნობილი ლექტორი გრიგოლ ამა-
 ლლობელი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე წარჩინე-
 ბულ გვამთა გაცნობით ბედი არ მანებიერებს:
 ტოლსტოი ისე მოკვდა, რომ არა თუ მისი პირა-
 დათ გაცნობა არ მეღირსა, ნახვითაც ვერა ვნახე.

ვერ ვი-
 ცნობ აგრეთვე სრულიად საქართველოს ფალევანს
 კოსტა მისურაძეს, რომელიც დღეი ხანია უცხოე-
 თის ფალევენებს ებრძვის თავგანწირვით ჩვენი მამუ-
 ლის სასახლოთ. ამის შემდეგ, რა ვასაკვირველია,
 უღრმესი მადლობა მოგახსენო ბ. აბაშელს, რო-
 მელმაც ჩვენი ცნობილი ლექტორი გრიგოლ ამა-
 ლლობელი პირადათ გამაცნო.

ლექციის 300 თეზისი თითქმის ბოლომდე
 მქონდა წაკითხული, როცა თვით ლექტორი გავი-
 ცანი და დიდის კრძალვითა და მორიდებით შევეც-
 ქეროდი ახალ გაცნობილ მკვლევარს. უმნიშვნელო
 მოკლე ბაასის შემდეგ ბ. ამალობელმა სთქვა:
 „გუშინ თურმე წ. კ. ს. კრებაზე მე მეძებდენ:
 უნდოდათ ეთხოვათ, სადღეისო ლექცია გადამეღო
 და დარბაზი მათი კრებისთვის დამეთმო. ძალიან
 ვნანობ, რომ არ ვიყავი. წ. კ. ს.— დარბაზს კი
 არა, ჩემს თავსაც დავუთმობდიო“.

მართალი მოგახსენოთ, მე ძალიან გამანცვიფ-
 რა და თან მეტის მეტათ მასიამოვნა კიდევ ახალ-
 გაზრდა მეცნიერის ესოდენმა თავდადებულობამ:
 საკუთარ თავსაც დაუთმობდა იმ საზოგადოებას,
 რომლის გამგეობის წევრებს ერთმანეთისთვის „ღე-
 და-ენის“ კორექტურაც კი ვერ დაუთმიათ! შეადა-
 რეთ, ბ-ბო, ამ ორი დათმობის ღირებულებანი და
 თქვენვე მიხვდებით, რომ აქ ორი პოლიუსია, ორი
 მოპირდაპირე წერტილი—უმალესი მწვერვალი და
 უმდაბლესი ჯურღმული...

სამწუხაროთ ლექტორი დარბაზში გაიწვიეს, ლექცია უნდა დაწყებულიყო და ჩვენი ბასიკ შეწყდა.

დარბაზში რომ შევედი, ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, როგორსაც, ალბათ, სიკვდილით დასჯის დამსწრენი განიცდიან. რაკი ბ. ამალლობელის თეზისებს ვიცნობდი კიდევ, რა თქმა უნდა ისიც კარგათ ვიცოდი, რომ მას აქ, ამ დარბაზში, საჯაროთ უნდა ჩამოეხრჩო ნოე ჟორდანი და ყველა მისი თანამოაზრენი. მართალია, ეს ვაჟბატონები სწორეთ სახრობელას ღირსნი არიან და მათი სიკვდილით დასჯა სამშობლოს ერთგულ სამსახურს ეთანაბრება, მაგრამ ავაზაკის ჩამოხრჩობის ყურებაც ზომ სამძიმოა კაცისათვის. ამას გამო შურის თვლით დავუწყე ცქერა იმ სამ გენერალს, პირველ წყებაში რომ ისხდნენ და მხიარულათ იცინოდნენ რაღაზედაც. „ამათ რა უჭირთ!— ვფიქრობდი მე: — ალბათ არა ერთხელ უყურებია ჩამოხრჩობისათვის და მიტომაცაა აგრე უდარდელათ რომ ელოდებიან კარზე მომდგარ საშინელ ქლექას!“

მაგრამ აი დაიწყო ლექცია და ჩემი გუნებაც შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა მე გავიგე, რომ ჩვენ— მე, ის სამი გენერალი, თვით ბ. ამალობელიც და ყველა ქართველები— ეს ალბათ ვართ, რაც ვიყავით და ცოტა ხანს იქით არც ის ვიქნებით, რაც ვართ“. ჩვენ— ე. ი. მე, ის სამი გენერალი, პირველ წყებაში შემომატებული უცხო ტყავების მოსასხამიანი ბანოვანი და თვით ბატონი ლექტორი ამ ჟამათ, თურმე, „ვღვლავთ ისე როგორც არასოდეს არ შეგვეძლო ღელვა“. თურმე ჩვენ ე. ი. მე და ზემორე ჩამოთვლილი პირნი „ბრძოლის ცეცხლით ვკრფილვართ ჩამოსხმულნი“ და იმ სამ გენერალს, მე, და სხვებს მოვეწინასწარმეტყველი ვგისენიებს, როგორც უბადლო ოკროპედლებს. მიუხედევათ ამისა ჩვენ დიდი უბედურები ვართ და თვით „სურბეთი“, სადაც მცხოვრებლების მესამედი ამოკლიტეს, მესამედი მიწა-მამულიდან აჰყარეს და დანარჩენი ტყვეთ შეიპყრეს, ჩვენზე გაცილებით ბედნიერია, რადგანაც მას ჰყავს პაშიჩი, რომელსაც მშვენივრათ შეუსწავლია „ვეფხის ტყაოსანი“ და თავის სამშობლოს შოთას სიტყვებით ამხნევებს: „სჯობს სიკოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“.

ჩვენი უბედურების მიზეზი ქართველი მარქსისტები არიან. ამათ თურმე ყურიც არ ათხოვეს ილია ჭავჭავაძის წინადადებას— ჯერ ჩვენი ეროვ-

ნული საქმე მოვაგვაროთ და შემდეგ დაიყოთ კლასებათო და ნ- ჟორდანიას თაოსნობით, არც აცხელეს, არც აცივეს და მთელი საქართველო ძვალის დახამხამებაში კლასებათ დაჰყვეს. ეროვნული მთლიანობის ასე დასაქუცმაცებლათ ნ. ჟორდანიამ შემდეგ ხერხს თურმე მიმართა: თავი მარქსისტათ გამოაცხადა, თუმცა ბ. ჟორდანიას შეხედულებანი დიამეტრალურათ ეწინააღმდეგებიან მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს.

შეუდარებელი იყო ლექტორი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მარქსის აჩრდილს მიმართა:

— ოჰ, სადა ხარ ეხლა მარქსო, რომ შენებურის მკვეთრი ღიმილით *) შესძახო: moi je ne suis pas marxiste!

ეს ფრანგული ფრაზა ბ. ამალობელმა მიუწლომელი პარიზული „პრონონსით“ წარმოთქვა.

შემდეგ ლექტორმა ჩინებულათ დაახასიათა სულელური, მაგრამ მაინც გენიოსური მოძღვრება კარლ მარქსისა, რომელიც თურმე გერმანიაში კარგათ ცნობილი მკითხვეი იყო, თანაც ისეთი მკითხვეი, რომლის არც ერთი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მაგალითად, მარქსმა თურმე იწინასწარმეტყველა, მევანსა და მევან წელში გამოვა დიდი გველეშაპი, ანუ დიდი კაპიტალი, და ჩაჰყლავს ყველა პატარა გველეშაპებს, ანუ პატარა კაპიტალებსო. ეს მკითხაობა გამტყუნდა. არ გამართლდა აგრეთვე მარქსის მეორე მკითხაობაც: მევანის წლისა მევანის თვისა მევანსა დღესა დასავლეთ ცის კიდურზე სამი კუდიანი ვარსკლავი გამოჩნდება, მაშინ მთელი ქვეყნის მუშები ერთბაშით გატიტლიკანდებიან, გახულიგანდებიან და მდიდრებს დაერევიან, — ამოკლუტენ და მოხდება სვრანი და ძვრანიო.

მარქსის და ენუქას შედარებას რომ შეუდგა ჩვენი ნიჭიერი ლექტორი და თვალ ნათლათ დაინახვა დამსწრეებს, რაოდენათ მაღლა სდგას ენუქა მარქსზე და ენუქას ანდერძი მარქსის ანდერძზე, მე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, დარბაზი დაუტევე...

ეხლა კლუბის ზალაში, ექვი არ არის, სახრობელათა რაზმები იქნება ჩამწკრივებული და თი-

*) როგორც მოგვხსენებთ, ბ. ამალობელი კ. მარქსის იდეური მტერი, მაგრამ პირადი მეგობარი იყო და ამიტომაც მოიხსენია ის „მკვეთრი ღიმილი“, რომელიც არა ერთხელ უნახავს მის სახეზე.

თო სახარბოებელაზე, აღბათ, რამდენიმე დასელი ქა-
ნაობს. რუსები ამრობენ სახარბოებლის თოკა ბე-
დნიერება იცისო. ნუ დიხარებს ნიქიერი ლექუო-
რი და ერთ-ერთი სახარბოებლას თოკის ნაქერი,
თუნდ ნ. ჟორდანასი იყოს, მითავაზოს. მე მინდა
იმ თოკის პატარა მათრახი გავაკეთო და ს. საჯაი-
ხონი გაუგზავნო საჩუქრათ ბ. ამლობელის მამას:
დარწმუნებული ვარ კარგათ მოიხმარს და, ვინ იცის,
იმ მათრახმა იქნებ მის შვილს ბედნიერებაც მოუ-
ტანოს!...

თავუნა.

მ ა ძ ი ე ბ ე ლ თ.

(საიდუმლო მიწერილობა)

„უწმინდესი სინოდის ბუერ პრეკუ-
რად ნამყოფ საბლერს თანხმად თხო-
ვნისა ნება ებოძა ატაროს თავისი შე-
უდღის გვარი—**დესიატაკოსკი**“.

დებეშებიდან.

„სახელმწიფო საბჭოს წევრს ნება
ებოძა ატაროს თავისი შეუდღის გვარი
—**ტალიზანი**“.

დებეშები. (კვებ. სვ. 267)

ვინც ჩვენ ცხოვრებას ცოტად თუბევრად იც-
ნობს, მას უეჭველია მოესხნება, რომ საქართვე-
ლოში გარდა სამი მთავარი წოდებისა (გლეხი, აზ-
ნაური, თავადი.) არსებობდა და არსებობს დღესაც
კარგა მოზრდილი წოდება **„მადიებლები“**.

მოგესხნებათ ისიც, რომ მთელი სიმძიმე სა-
სოფლო სახელმწიფო მოვალეობათა, მიუხედავათ
მათი საერთო მნიშვნელობა საქიროებისა კისრად
აწევს მხოლოდ გლეხობას. ამიტომ **მადიებელთა** წო-
დება უმთავრესად*) გამომდინარეობს გლეხობიდან და
სხვა და სხვა საბუთების საშვალეობით სკდილობს
თავი აზნაურობაში გადაირიცხოს. ეს საქმე მოი-
თხოვს ძლიერ დიდ ხარჯსა და დროს, თუ საქმეს
სათავეში ისეთი ენერგიული და ნიჭიერი გამგე აო-
უდგას, როგორც ცნობილი აშორდია ბრძანდე-
ბოლა.²

ვინ მოსვლის რამდენი შეძლებული ოჯახი
გაკოტრდა ამ საქმის ვადამკიდე. უმეტესობა მიზანს
ვერ აღწევდა, მაგრამ ხშირად მიზან მიღწეულიც
და ბოლოს „აზნაურ—პროლეტარის“ მდგომარეო-
ბამდის აღწევდა.

ისტორიული ფაქტია, რომ ამ მხრივ ქართული
კანონმდებლობა ქაოებს მეტ უპარატესობას
აქლევდა. მაგალითად საკმარისია გლეხის ქალი
თავადმა ითხოვოს, რომ უკვე „ქენინას“ ხარისხი
დაიმსახუროს. ამით ხელგაშლით სარგებლობდენ
ჩვენი მეზობელი სომხები (ვაქრები) და თავის ქა-
ლებს ქართველ თავადებს აძლევდენ, რასაკვირვე-
ლია მხოლოდ ხა⁴ ისხის მოსაპოვებლათ.


ბატონებო! დღეს საქმე ძირითადათ იცვლე-
ბა და ჩვენს „მადიებლებს“ ფართე სამოქმედო ას-
პარეზი ესხნებათ. უბედურობა ისაა, რომ ჩვენ ყვე-
ლაფერში დავიანება ვიცით და თვალს მაშინ გა-
მოვუქვეტთ, როდესაც უკვე გვიანია. პეტროგრადის
დებეშათა სააგენტოს თითქმის მუდამ დღე მოაქვს
ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები. თითქმის
აშკარაა, რომ ჩვენ უახლოვდებით იმ შორეულ
წესწყობილებას აღამიანთა დამოკიდებულებისას,
რომელსაც მეტნიერები ვგონებ „მატრიარხატს“
ეძახიან. შესანიშნავია მატრიარხატი მით, რომ ოჯა-
ხში ქალი უფროსობს და შვილებიც დედის გვარ-
ზე მიდიან. ეს უმნიშვნელოვანესი შედეგია თანამე-
დროვე ომისა და უეჭველია ამ მხრივ კაცობრიო-
ბამ მღვეის ნაბიჯი ვადმოსდგა წინ.

ამიტომ ყველა **„მადიებელს“** შეუძლია გამო-
ნახოს საღმე საღმე ერთი მიყრუებული თავადის,
თუ აზნაურის ქალი, დაიწეროს მასზე ჯვარი და
იშუადგომლოს ვადარიცხვა მეუღლის გვარზე. ამ-
გვარი ხერხით ვაცილებით ადრე და შედარებით
უფრო იაფად შეგიძლიათ მიღწევა თქვენი იდეალო-
ბისადმი.

მორიელი


P. S. თავისთავად ცხადია, რომ ეს საიდუ-
მლო მოწერილობა არ უნდა ვახმაურდეს, ვინაიდან
ამას შეიძლება არა სასურველი შედეგები მოჰყვეს:

- ა) შეიძლება მთავრობამ შეატყოს გლეხობის
რიცხვის შემცირება ვადასახადების ჯამის შემცი-
რებით.
- ბ) და რაც უფრო ქუთასთან ახლოა, შეიძლე-
ბა თავად-აზნაურობის ქალებმა კურსი ასწიონ, მით
უმეტეს რომ დღეს ბრძოლაა და დარღვეული, და-
კეტილია. მამ სიფრთხილე და სიჩქარე, მადიებე-
ლნო!



საქსტრო-გერმანიისა და რუსეთის ბრძოლის ზილი.

ეროდეთ თფილისის ქუჩებს!



„ემშაკის მათრახის“ რედაქცია მამაშვილურის მზრუნველობით ურჩევს ყველას ვისაც საკუთარი ავტომობილი არა აქვს ნუ გამოვა ქუჩაში, ვიდრე ავტომობილზე უჩქარეს სირობილს არ შეისწავლის.

გამოცანა.

(რაჭა ლენსუემისთვის)

გმირსა ამ გამოცანისის
გულზე ჰკილია ჯვარია,
სოფლის მოძღვარი ბრძანდება
უხვარს შემწვარი ცხვარია.

მოყვანილობა ზორბა აქვს
ვით გმირი ტარიელია,
წვერი თხის მეფეს მიუგავს,
გოგრა კი ცარიელია.

ასეთი მღვდელი მეორე
არა ჰყავს რაჭა-ლეჩხუმსა,
ერთი სტაქანი ლვინისთვის
მოგყიდის ბარძიმ-ფეშუმსა.

თუმც სავსე ქვევრიც რომ ნახოს
მასაც არ დაერიდება,
გაიძრობს მუისეფ ფარაჯას
და თავქვე ჩაეკიდება.

ძველ ადათ წესებს მხნედ იცავს
ეს ჩვენი გმირი პასტორი.
(რწმენით და მიმართულებით
ბრძანდება კონსერვატორი).

კეთილ საქმეში ხალხისთვის
მართლაც ურგები მჩვარია,
მაგრამ ტყავისა ძროხაში
იგი სწორ-უპოვარია.

ამაოინიდან ხალხს აძლევს
შემდეგსა დარიგებასა:
— შვილებო მოძღვრებს აქცევდეთ
ზედმეტსა ყურადღებასა.

ასვით, აქამეთ უზომოთ,
ასრულეთ მათი ნებაო,
არ მოაკლებდეთ დროის ფულს
გობრძანებსთ ქრისტეს მცნებაო“.

მკედრის ვასენება თუ გინდა
უნდა მზად გქონდეს თუმანი
(თუნდ კაპეიკი დავიკლდეს
ნულარ გაქვს მისგან გუმანი)

ჯვარას წერაზე ხომ იგი
სულ ზომა დაკარგულია
(თუ გინდ თმა წვერიც გაპკრიქე
მიეცი მხოლოდ ფულია).

გეტყვის:—თუ მომცემ სამ თუმანს
ეხლავე დაწერ ჯვარსაო,
თორემ ნაკლებათ მე არც კი
გავადებ საყდრის კარსაო.

გინდა? დაუპე ფულგები
და საქმე გაჩარხეო,
არა და, ქირი მომქამე
გამშორდი დაიკარგეო“.

საერთოდ, ხალხის დაჩაგვრა
არის იმისი მიზანი,
აწ კი მკითხველო თვით მიხვდი
ვინც არის გამოიკანი.

კვანი.



ივარგა ჩემმა ბიჭმა.

(გურულო სენა)

ძაან გულ გატეხილი ვიყავი ჩემს აყლაყულა
ნესტორიანზე! იგი თუ რამეთ ივარგებდა არ მეგო-
ნა! ღვთის პირიდან შეჩვენებულს რომ იტყოდენ,
სწორეთ იგი იყო; რა არ ვუქენი მე იმას, ზე გა-
დავყოლოე ჩემი საცხოვრებელი, დიდი ვაი ვუშვე-
ლებელით რავარც იქნა, გავათავებთ ღვთისაზის
ოთხი კლასი, ტყავს ევხითიდი პირზე და რამენაი-
რათ თლათ გავათავებებდი, მარა ვინ აცალა,
უბიძგეს მეოთხე კლასიდან და გამოაბუნძულეს
შინ. თურმე დუუწყო დენა თუ სამე ციცე დეი-
ნახა და მეტი აფერი იფიქრა... ჩამეთრია შინ,
დესპარტა თვალეზი, დეიწყო სლოქენი: ბაბა,
შენი ქირიმე, ნუ გამიწყურები, კი გამომაგდეს მარა,
ოთხი კლასის ეგზამელიე ქე ჩავაბარე, აფთეკა“კვი
უნენიქათ ქე ვივარგებ და ადგილსაც კას ვიშონიო.
არ შეგქამოს ქირმა, ვერაფერ საქმეზე ვერ მუვა-
კიდებთე ხელი... დავაყარე სადავე და გოუშვი:—
წინ წყალი, უკან მევეერი, ჯანდაბას წადი შეილო
მეთქინ... მარა ვინ მოგშორდა, სახლიდან ფეხი
ვერ გამოვადგმიე, ქე ეგლო აგერ შარშანდლამდი
სახლშა, დაბენტერობდა და ქე იყო...

დეიწყო ვინი თუ არა, აბზუა ტუნჩი, შექ-
ნა წრიალი, ბაბა, ბილენი მომე, საცხა წავალ,
ორ გროშს ვიშონი ამ პახოთობაზეო... სახლში
იდედლე, ბიქო, კას დროზე აფერი სიკეთე გიქნია,
ახლა წააქყენეტ საცხა თავს და იგი იქნება შენი
შონა მეთქი.

წრაუულს აპრილამდი ქე იყო სახლში, აპრილ-
ში დაკრა ფეხი და გადავარდა საცხა... დევიზაფ
რეთ კაცი, რაც უნდა იყოს, ერთი კეკალი შეი-
ლია იმას ოუვარდა ფშვინვა, იმან გვაქამა შიში და
ფეთება.—ჩემს ცოლს—ფოტინას კურცხალი არ
შეწყვეტია თვალეზზე.—გვეიდა კანკრაზი ექვისი
თვეი, მისი ასავალ-დასავალი გერსად გვეიგე; ვაც-
ხადე ყოველგან, ერთი გაზეთშიც ქე გამოვაცხადე,
მარა, ვეფერი გვეიგე, არც იმ ღვთის პირიდან წა-
სულმა მოგვეწერა რამე.

ეკენისთვეში, გვიხვლე, და ქუთაისიდან ჩამევი-
და ჩვენი გეტრიელაის ბიჭი და ქუდმოხდილი მო-
ვარდა ჩვენსას. — რას მომცემ სამხარობლოსო, მო-
გავყვირა ცოლქმარს.

— ბიკო გლახა აფერი მითხრა, თვარა ნიგუ-
ხალს გკრავ ყორყაში მეთქინ.

ამიტანა შიშმა, ფოტინას კინალა შამოუხთა
გულზე...

— თქვი შენ შეჩვენებულო რამე მეთქინ.
— დეილარჯა და მითხრა: შენი ნესტორიე ქუთე
ისში ვნახე, გააფიცრებულაო.

— ნუ შეყაშიერები ბიკო, მართალი მითხარი
იგი აფიცრათ რავა ივარგებდა მეთქინ... მიფიცა,
შინაბდა, და ბოლოს ქე დამაჯერა. გვერქეცი მაშ-
ვინათე, ვისესხე გზის ფული და მეორე დილას
ქუთაისში გავაყენე ფხეკა... დილა იყო, გვერგზა-
ვრე სალდათების ყაზარმებისაკენ, მივაწიე ახლოს,
თუ არა, ქე დღეინახე ჩემი ნესტორიე გამოჯგომუ-
ლი. რომ არ მცოდნოდა, რავა ვიცნობდი, ჩინებ
გადაბტყელებული, გამოსკვინჩული, გამოწინწილე-
ბული, ქე უდგა განზი უთოფო სალდათების ღია-
ნგს, მინდოდა მივარდნილიყავი მარა ვინცხამ მით-
ხრა ახლა „ზანიტი“ აქ და არ მიხვიდლო... გავ-
ჩერდი მოშორებით, ევიტუზე, ვუყურებ: შეუფა-
ფხურა სალდათებს, მიაწყო, მიაპრავილა და დაუ-
ყვირა უბედურათ:

„ნააგომარში!!! დოუყვირა თვარა დეიძრა
აგი ქვეყანა სალდათები, შექნეს: ზარბ, ბრახ,
ბრუხ!... დაადეს თავი, გოუყვენ... გადვირიე კაცი
ვიფიქრე, მარა ვერ შევიარე: ამ ბიჭმა რომ დოუ-
მძახა ამ სალდათებს „ნაგომარშიო“,*) რა უნდა ა
ზამთარში იქინეი, ყურძნის კრეფა გათავდა და სიმი-
ნდის ტეხა. სათ მიგყავს ამდენი ხალხი, ან ფეხით
რაფერ ჩააწევენ იქინეი მეთქინ. გვეიხედე და ისე-
ლე მოაბრუნა, ატრუალა ერთხანს, და მერმე დეი-
სვენეს.

მივაწურე მინდოდა გადავხეოდი, მარა „სტო-
იო“ დამიძახა.. შევაშტერდი თვალეში.. შემაშ-
ტერდა იგიც ოხ, ღმერთი გამიწულა კინალამ ვერ
გიცანიო, ჩამომართვა ხელი და მითხრა, ახლა არ
მაქ დროიო და საღამოს მოდი. ზანიატს რომ გა-
ვათავებო.

მივედი საღამოს, მითხრა, ხედავ შენ რომ ამ-
ბობდი ვერ ივარგებო, განლავარ აფიცერიო.

დილიდან საღამომდე

სულ აღმა დაღმა დავრბივარ და ვსტუნავ.

— მაგის მეტი თუ არ უნდოდა, ხტუნვა და
სირბილი თავიდან გიყვარდა შენ მეთქი, ვუთხარი.
ცოტა ქე ეწყინა ავი, მარა, მერე დედამისის აშბავა
მკითხა

— შელო, რამდენი გაქ ჯამავარი.

— სტო სემდესიატ

— შენ კი გენაცვალე, ბაბა, თუ გამომიყვან
სილარიბიდან ახლა:


ამეილო ერთი სამი თუმანი და მითხრა:

ახლა ავი წოულდე ნენას და მერმე მე ვიცი კილომ
ბევრს გამოგიგზავნიო.

სწორედ შემეხარბა ავი აფიცრობა. ბიკო ჩვი-
დმეტი თუმანი არ იხუზრო თვეში, თერმე ახლა
ორი კლასს ატესტატი თუ გაქ პაწე მომზადებით
ქე მიგიღებენ აფიცრის კოაში, ატესტანტი არ მაქ
თვარა, ქე მივემზადები არც ისე გლახა ვარ, მო-
მამზადე ბაბა მეც მეთქინ, ვუთხარი ავი რომ შევი-
ტყვი...

— ახლა წაიღე შინ, ნენაი ამეიყვანე აქანაი,
და შენ კი მოგამზადებ, ნუ გენაღვლებო. დავკარი
ფეხი და ვამოვბრუნდი სახლში, ახლა პაწას მივაწყ-
მოვაწყო სახლში, წვეციყვან ქალს და მეც მევემზა-
დები აფიცრათ ჩემ ბიჭთან, რავა ღმერთი გამიწყ-
რება, ვერ დევიქერ ვგზამენიას, და თუ დევიქირე
მომხედა ღმერთმა, სამ თვეს რავა ვერ ვიცოცხლებ,
თუ გინდა სადაც გაგზავნონ, სამჯერ—სტო სემ-
დესიატ, პიატ სოტ დესიტ ბუდიტ, ერთს სულსაც
მეფოთქვამ და ვალეხსაც გვეისტუმრებ, მერე თუგინ-
და ქე მზებონ ტყვა გულში, ჯანდაბას ჩემი თავი.
ივარგა ჩემმა ბიჭმა!..

ლუკაიეს ობოლი.



(*) ნაგომარი დაბა არის გურიაში.

პატარა მესტვირული.

(სამტრედიისათვის)

ნულარა მაცდენტ, გამიშვით,
 მომეცით ჩემი სტვირი მე,
 ამბავსა გეტყვით დაბისას,
 მოგიღებთ თქვენი ქირიმი,
 სხვებს თუ არ სწყალობს დღეს ბედი
 აბა ჩვენი რა ზრალია,
 ჩვენი ვაჭრები ცხონდებო
 თუ სადმე სამართალია.
 ყველგან თუ მათი მოძმენი
 ხალხის ნაშრომით სტკებნიან,
 ჩვენი ვაჭრები სულ სხვაა --
 ღარიბებს ეხმარებიან.
 „მეგობარს“ იცნობთ ქუთათურს
 ჩვენი დაბისა შვილია,
 ყველა სტრიქონი გიორგის
 ფულებით აწყობილია.
 ტიტეც ხო იქ მოლარეობს
 აუსრულდა საწადელი,
 ისიღორე დარჩა მხოლოდ
 ბრესის „წარმომადგენელი“.
 კომპერატორთა კრებაზე
 მოსულიყო ისიც განა,
 ქაღალდი და კარანდაში
 ორივე ერთად მოეტანა,
 და ხაზავდა ნელა, ნელა,
 მიმჯდარიყო ერთ კუთხეში
 ბედნიერად გრძნობდა თავსა
 ვითა მწიბრი სამოთხეში,
 „პედაგოგები“ ჯავრობენ.
 გუდაშემტერა ყველანი;
 გვითხარნი თუ ხარ „ალიო“
 რა სურთ არ ვიცი ღმერთმანა!
 ნულარა მაცდენტ, გამიშვით,
 მომეცით ჩემი სტვირიმი,
 მათრახიც უნდა წავიღო
 ჭამიშვით თქვენი ქირიმი,

(დიდი ჯიხაიშისათვის)

ელასაო, მელასაო,
 დღეს მოვსდგები ყველასაო;
 იღარავის გამოვტოვებ,
 ფლიდს და ცრუბენტელასაო.

ბლი.

არცა კაცსა, არცა ქალსა
 კაბა-კულა ჭრელასაო,
 არც ნასწავლებს დაგიზოგავ
 კარტს თუ უწყებს ფენასაო,
 უსაქმურსა ქალიშვილებს,
 არშიეთ, მოუსვენარსაო,
 დღე და ღამე ბაზრად ჰყრიან
 შინ აცივებს, კერასაო.
 უშნოთაც რო პარუსკობენ
 აგრძელებენ ენასაო,
 მიეთ-მოეთ, ბატონებსა
 და ქორების მქსელავსაო,
 ურჩევ ხელი შეიჩვიონ
 სახლში ქრას და კერვასაო,
 თორემ ბოლოს ინანებენ
 დაიკვნეტენ ენასაო,
 ეშმაკაც, რომ მოინდომოს
 ვერ შეიძლებს შევლასაო.
 არც ხუცუტებს გამოვტოვებ
 მრევლის მლოცველ მამასაო,
 აღაპსა და ქელეგებში
 რომ უხშირეს ქამასაო.
 აწ დავლუმდეთ შემდეგ გეტყვით
 იმათ გვარს და იმათ ჩინსო...
 (სურათებისაც, გაუგზავნი,
 ეშმაკს, ჩემი თვალის ჩინსო).

კიკოლა ბიჭი.

დეპეშები

სუმბატოვო. 22 ნოემბერს დიდის 10 საათზე დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“. საღამოს 7 საათზე წევრები პურს მოითხოვედა. იმედი აქვთ „იმედი“ იმედს გაამართლებს; მხოლოდ იმედნი არ აქვთ თუ ოდესმე ადგილობრივ აფთეკაში აფთეკარს ეღირსებიან. ამბობენ ეს ნატვრა მხოლოდ მაშინ შესრულდება, თუ რუსეთ გერმანიის სეპარატიული ზავი მოხერხდა და რაც გერმანიის ფრონტზე გაწვეული აფთეკრები, ყველა სუმბათოვოში დაბრუნდებო.

უცნობი.

სუჯუნა. მამა ფილიმონმა სამკითხველოს კრებაზე სასტიკი იერიში მიიტანა „თანამედროვე აზრზე“, როგორც ცული მიმართულების გაზეთზე; გაზეთმა უკან დაიხია და „ცულ ღარის“ ნაპირებზე

გამავრა. ამბობენ, ხსენებული ფილიმონი ჯვაროსნულ ომს მართავს „აზრის“ წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით „თანამედროვე აზრი“ კონტრ იერიშებით იგერიებს მას.

კეტი.

„საქართველოს“ რედაქციიდან. ბ. სპ. კელიამ უარი სთქვა რედაქციაში მუშაობაზე. კნოფლიქტი გამოიწვია უკანასკნელ სურათებიან დამატებაში მოთავსებულმა სტრატეგია — „შემოდგომა და ჩვენი გლეხი“. ბ. კელია უკმაყოფილოა, რომ სურათში გამორიცხულია

თავადი და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მღვდელი.

ბ. კელიას ამის გამო აუარებელი თანაგრძნობის დებუშები მოსდის გლეხებისაგან მეგრულეთიდან, გურიეთიდან, აჭარეთიდან, ქართლეთიდან, რაჭეთიდან და სხვ.

მთხსენება

სოფ. ჭავანი. ორშაბათ დილა გათენდა,

რა კარგა დარი ღებებო,
ეს ჩვენი ზედამხედველი
დუქნისკენ ემგზავრებო.

იქ იგი თავის საყვარელ
ძმა-ბიჭებს ელოდებო,
რაც გუშინ კარტში წააგო,
დღესა სურს ამოგებო.

სკოლა ფეხებზე ჰკილია
ახლოს არ ეკარებო,
თან და თან კიდევ ბაჭუშები
ეცლებო, ეკარგებო.

ამ გვარ ვაებატონს, სწორედ რომ
მათრახი ეკარგებო.

ბ.ნო ეშმაკო!

ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემულ ჟურნალის საშვალეებით, გამოავაცხადო შემდეგი სანწუხარო ამბავი:

1915 წ. 14 ნოემბერს, უგზო-უკვალოთ დაგვეკარგა ფრიად თვალსაჩინო მოღვაწე მასწავლებელი ქალი.

აღმოსაჩენათ მიღებულია შესაფერი ზომები, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ მივაღწიეთ.

და ამისათვის
ვაუწყებთ ყველას,
რომ ვითხოვთ მათგან
რჩევას და შევლას.
ვაუწყებთ მშობლებს,
ნაცნობებს, ტოლებს,
ჯან-სალებს, გამხორბებს,
ლოგინში მწოლებს.
ვაუწყებთ სევდა
დარღში ჩაფლულებს,
მისი დეკარგვით
ჯვარზე დაცმულებს,
რომ დაგვეხმარონ
ჩვენ მის პოვნაში
და კვლავ მოგვევარონ
იგი სკოლაში.
მოგვევარონ რათაც
უნდა დაგვიჯდეს,
ჩვენ გესურს მის სკამზე
სხვა არვინ იჯდეს.

ჭავჭავაძის ბზიკი

მკითხველთა საპირდაპირი

მწუხარებით ვაცხადებთ სამარტრდიელ მკითხველთა წინაშე, რომ 1915 წლის „მათრახის“ 15 და 16 ნომრებში მოთავსებული ლექსები ბ. „ალისა“ რომელიც ეხებოდა ვეკილ ბესოს, ვერ იყო შესაფერისად აღნუსხული.

მათრახის რედაქტორი თ. ბოლქვაძე.

© სახალხო სახლი ©

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, 1915 წ.

დრამატული დახის მიერ

წარმოდგენილი იქნება

მისხვეისპლი

დრამა 4 მოქმ. გედევანიშვილისა.

დასაწყისი სამოს 8 საათზე.




გაუფრთხილდით თავმანს ჯანმრთელობას — მიირთვიით

უკუბრუნდით

ბილყულ-მანყელის სამკურნალო მოითხოვით უველგანს

— ღვინო ისე გაძვირდა, რომ ღარიბმა კაცმა იქნებ ზიარებისათვისაც ვეღარ იშოვოს! ღვინის ასეთმა გაძვირებამ, ღვინოზე აქციზის შემოღებამ და ბოთლებზე ბანდეროლების დაკვრამ ბევრი დააფიქრა. ჯერ კიდევ შობა-ახალწლოში რამდენიმე ღლეა, მაგრამ ბევრი უკვე ტირას და მოსტეფამს, არ იცის კაი ღლეებზე დრო რითი გაატაროს. მე კი არხეინადა ვარ. რა ჯობია ლადიძის წყალს!! ვენაცვალე მის ასე გემოვნებით შემზავებელს, კაი ღლეებს სიფხიზლეში ვავატარებ, არც დავთრები და არც აყალმაყალს ავტებ. გირჩევთ საკაიდლოთ თქვენც ლადიძის წყალს შეექცეთ და ისიამოვნოთ.



ქალაქ თფილისში

გამოდის უოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახნი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ თვით 50 კ.
„ეშმაკის მათრახნი“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები,
არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მ.საღები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлиς *)


С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონვერტზე მარჯვნივ არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვადგინებთ, რომ
◆ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆

ქართული ანდაზა.



აქლემები წაიხსუნენ, კოზაკი შუაზე გასწყლიტეს*)

*) ეს სურათი, როგორც მკითხველიც შეიტყობს, დახატულია 5000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე ქართველი მხატვრის „კრიბუკის“ მიერ და თუ რამდენათ შორს-მკვრეტელი ყოფილა აღნიშნული მხატვარი, ამას ნათლად ამტკიცებს ღრევიანდელი მისი ზედ გამოჭრილად მისადაგება წერა-კითხვისა და საისტორიო საზოგადოებათა შორის ატეხილ ოავაზე.